ბრძანება:**ბ47.47222301**
თარიღი:**18/08/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 26 აგვისტოს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე N28.01.21.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, გამიჯვნის გარეშე, 4.00 კვ.მ. და ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე N28.01.22.817 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, გამიჯვნის გარეშე, 20.00 კვ.მ. მიწის ნაკევეთის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

1.3. მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

1.4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.5. „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ “ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.6. „სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.7. „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.8. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.9. „ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი